86 (09)
[illegible]-387

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

სოფიო გივის ასული ფეიქრიშვილი

# უნამუნოს "პერსონალიზმი" და პროტაგონისტის პრობლემა მის მხატვრულ პროზაში

10.01.05. ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

## ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2005

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **თემურ კობახიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **ირაკლი კენჭოშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

**მანანა ჯაოშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P.10.06. №8 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე 2005 წლის 30 ივნისს, $14^{00}$ საათზე.

მისამართი: 0128. ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №36.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქუჩა, №2)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 27 მაი

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი (რ.ციხითათრიშვილი)

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** მიგელ დე უნამუნო (1864-1936): ესპანელი მწერალი, ფილოსოფოსი, ესეისტი, კრიტიკოსი, პოეტი და ეროვნული მოღვაწე, ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი წინამორბედი, პიროვნების ფილოსოფიის – პერსონალიზმის ფუძემდებელი, XX საუკუნის დიდი მოაზროვნე, უაღრესად მრავალმხრივი შემოქმედი, ესპანეთის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი, „1898 წლის თაობის", ანუ „კატასტროფის თაობის" იდეურ წინამძღვრად წარმოგვიდგება.

მიგელ დე უნამუნო თავის დროზე საკმაოდ კარგად იყო ცნობილი ქართველი საზოგადოებრიობისათვის. ევროპულად განსწავლული მწერლები, მხატვრები, რეჟისორები და მეცნიერები იცნობდნენ მის ნაწარმოებებს. მას ხშირად ახსენებდნენ გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, კონსტანტინე კაპანელი და სხვანი, თუმცა კომუნისტური მმართველობის ეპოქაში, გარკვეულ კონიუნქტურულ მოსაზრებათა გამო, ამ მეტად საინტერესო მწერლისა და ფილოსოფოსის სახელს ტაბუ ჰქონდა დადებული. მხოლოდ მოგვიანებით გახდა ხელმისაწვდომი ქართველი მკითხველისათვის მიგელ დე უნამუნოს რომანების მაღალ დონეზე შესრულებული მერი ტიტვინიძისეული თარგმანები. თავად მთარგმნელი კი მოგვევლინა მწერლის შემოქმედების უმთავრეს პოპულარიზატორად, რომელმაც ასევე გააცნო ქართველ მკითხველს ესპანური ლიტერატურის მკვლევართა და მეცნიერ-ფილოსოფოსთა მოსაზრებები უნამუნოს შემოქმედების ცალკეულ ასპექტთა შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გამართლებულია ჩვენი არჩევანი. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ შესანიშნავი მწერლის შესახებ მასალის მოძიება თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. ამდენად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ქართულ ენაზე დაწერილი პირველი სამეცნიერო მონოგრაფიაა, რომელიც ერთი კონკრეტული საკითხის, "პერსონალიზმისა" და პროტაგონისტის პრობლემის შესწავლას ცდილობს უნამუნოს მხატვრულ პროზაში თანამედროვე კვლევის საერთაშორისო სამეცნიერო დონის გათვალისწინებით. ნაშრომის აქტუალობასაც სწორედ უნამუნოს მხატვრულ შემოქმედებაში დასმული პრობლემების სიმძაფრე და გამოხატვის ფორმა განსაზღვრავს.